ხელშეკრულება N7-გ

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი **ივნისი, 2023 წელი**

ერთი მხრივ, ერთის მხრივ სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“ (შემდგომ - „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის, რევაზ ბეჟაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „მეტრო ფილმ პროდაქშენი“ (შემდგომ - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, მაია გურაბანიძის სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად“), ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 2 ივნისის N1667 განკარგულების გათვალისწინებით (SMP230001495), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ***კრწანისის ტყეპარკის საიმიჯო-საპრეზენტაციო ვიდეორგოლის*** *(შემდგომ - „რგოლი“ ან „შესყიდვის ობიექტი“)* დამზადების *(შემდგომ - „მომსახურება“ ან „შესყიდვის ობიექტი“; CPV92100000 - კინო- და ვიდეომომსახურებები; CPV92111220 - სარეკლამო ვიდეოფილმების გადაღება)* სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. „მომსახურების“ აღწერილობა მოცემულია N1 დანართში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

2.2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ზღვრული ღირებულება შეადგენს 109408 ლარი (ას ცხრა ათას ოთხას რვა) ლარს, დღგ-ს გარეშე.

3.2. დაფინანსების წყარო: შემსყიდველის საკუთარი შემოსავლები - საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის, 2007 წლის 15 მარტს გაფორმებული „საქართველოსა და შვედეთს შორის განვითარებისათვის თანამშრომლობის ზოგადი წესებისა და პირობების შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე, 2021 წლის 17 დეკემბრის საგრანტო შეთანხმება („გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“; Sida-ს დახმარება No 15169). აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში დაფინანსებული ხელშეკრულებები და პროექტის საქმიანობები გათავისუფლებულია საქართველოში მოქმედი გადასახადებისგან ან სხვა ფისკალური მოსაკრებლებისაგან, მიუხედავად იმისა, არსებობს ასეთი მოსაკრებლები თუ მომავალში დაწესდება და ხელშეკრულება დადებულია საქართველოს თუ სხვა ქვეყნის პირებთან. შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში შესყიდული მომსახურება გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან (დღგ).

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის“ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი, რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.

4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და საგარანტიო პირობები

5.1. „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების უხარისხოდ შესრულების მიზეზებს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას მითითებული მიზეზები, წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელდება ამ ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობები. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს კვალიფიციური და მაღალი დონის მომსახურება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და შესაბამის სტანდარტებს.

5.2. იმ შემთხვევაში თუ პროექტის იმპლემენტაციის პროცესში თავს იჩენს რაიმე ცდომილება მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის მანძილზე, შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში განახორციელოს ცდომილების გასწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. „მომსახურების“ მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან:

6.1.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს „შემსყიდველს“ სცენარის კონცეფცია და მასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს შემსყიდველის დასტური (თანხმობა);

6.1.2. სცენარის კონცეფციის თაობაზე „შემსყიდველის“ დასტურის (თანხმობის) მიღებიდან არაუმეტეს 6 (ექვსი) სამუშაო დღის ვადაში „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს „შემსყიდველს“ მზა სცენარი.
6.1.3. მომსახურების გაწევის ვადის პირველ დღედ ითვლება ხელშეკრულების გაფორმების დღის მომდევნო დღე.
6.2 მომსახურების გაწევის ადგილია თბილისი-რუსთავის გზატკეცილის პირველი კილომეტრი, ფონიჭალის დასახლების მიმდებარედ, ყოფილი კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორია.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. „მომსახურების“ მიწოდების დასრულების ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.
7.2. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მოწოდებული „მომსახურების“ საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.3. მიღება-ჩაბარების აქტებს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
7.4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს მიწოდებული „მომსახურებისთვის“ აუცილებელი საბუღალტრო დოკუმენტაცია რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.
7.5. 7.4. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
7.6 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, ან არაჯეროვნად შესრულება, იგი წერილობით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს მის კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულებას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო, ეტაპობრივი ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ანგარიშ-ფაქტურის ან/და ინვოისის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხის ჩარიცხვა ამ მუხლით გათვალისიწნებულ ვადაში ვერ მოხერხდა ტექნიკური გაუმართაობის გამო. რა შემთვევაშიც შემსყიდველი ვალდებულია, ვადაგადაცილება აღმოფხვრას აღნიშნული შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
8.2 ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი.
8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
9. 2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
9.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ „მომსახურება“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას;
9.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.
9.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
9.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ ხელშეკრულების ყველა პუქნტის უცილებელი შესრულება.
9.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგენა დაუძლეველი ძალა.
9.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
9.3.4 მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოწვეული იქნება მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
9.3.5 ხელშეკრულების პირობების გაუარესების შემთხვევაში წერილობით შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
9.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „მომსხურების“ ღირებულების სრული ანაზღაურება.
9.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „მომსახურების“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა (დაუძლეველი ძალა ფორს-მაჟორული სიტუაციები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით).
9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
9.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.
9.4.5. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ და რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ხელშკეურლების 3.1 მუხლით გათვალისიწნებულ ხელშეკრულების ღრებულებას.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის

10.1. მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში,რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

10.3. „მიმწოდებელის“ პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების პირობათა დარღვევის შემთხვევაში, ვრცელდება არა მარტო მისაწოდებელი „მომსახურების“ ფარგლებში, არამედ „შემსყიდველისათვის“ იმ დანახარჯების ანაზღაურებით, რაც აუცილებელია ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის.

10.4. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე,გარდა ამ ხელშეკრულების 8.1 მუხლით გათვალისიწნებულ შემთვევისა, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა, გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, რომელიც მოცემულია მე–11 მუხლში.

10.5. ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, სხვა რაიმე დამატებითი ახსნა განმარტებების გარეშე:

10.7.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“.

10.7.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.9. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.

10.9.2. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.9.3. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.9.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. პირგასამტეხლო

11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.2. ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. მომწოდებელი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ან გამოკლებული იქნას „შემსყიდველის“ მიერ ანგარიშწორების პერიოდისათვის ასეთი არსებობის შემთხვევაში.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.

12.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა

და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.
12.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
17.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.
17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
18.3. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. ხელშეკრულების შეწყვეტა

19.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
19.2. ხელშეკრულების 19.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე.
19.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
19.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
19.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
19.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
20.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

20.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
20.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
20.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
20.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
20.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
20.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.
20.9. ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, რომელიც ინახება ხელმომწერ მხარეებთან და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

21.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“	შპს „მეტრო ფილმ პროდაქშენი“
იურიდიული მისამართი: იურიდიული	ს/კ 402110318
მისამართი გარდაბნის მუნიციპალიტეტი სოფ	მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N117
სართიჭალა. გომბორის გზატკეცილის მე-6	ბანკი: სს „თი ბი სი ბანკი“
კილომეტრი	ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 226575024	ანგარიშის ნომერი GE96TB7330045067800002
სახაზინო კოდი TRESGE22	
ანგარიშის №GE24NB0330100200165022	

Maia Gurabanidze 01020006091
Digitally signed by Maia Gurabanidze
Date: 2023.06.05 17:07:51

_____	_____
რევაზ ბეჟაშვილი	**მაია გურაბანიძე**
დირექტორი	**დირექტორი**

შესყიდვის ობიექტი: კრწანისის ტყეპარკის პრეზენტაციისთვის საიმიჯო-საპრეზენტაციო ვიდეორგოლის (შემდგომ - „რგოლი“) გადაღება.

შესყიდვის მიზანი: „რგოლის“ მიზანს წარმოადგენს საზოგადოებისა და მიზნობრივი აუდიტორიის ინფორმირებასა და ცნობიერების გაზრდას კრწანისის ტყეპარკის შესახებ. ტყეპარკი ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი და რეკრეაციული სივრცეა, სადაც ბინადრობს 180-ზე მეტი სახეობის გადამფრენი და მობუდარი ფრინველი. რგოლის მეშვეობით ყურადღება გამახვილდება ტყეპარკის ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

გარდა ამისა, რგოლის ამოცანაა საზოგადოების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ ველური ბუნების სააგენტოს (შემდგომ - „სააგენტო“ ან „შემსყიდველი“) ორგანიზებითა და პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება საქართველოს“ მეშვეობით, რომელიც შვედეთის მთავრობის მიერაა დაფინანსებული, ხორციელდება კრწანისის ტყეპარკის იმგვარად მოწყობა, რომ შენარჩუნდეს და აღდგეს არსებული ეკოსისტემა. კრწანისის ტყეპარკში რეკრეაციისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე გათვალისწინებული პირველი საჯარო სივრცე შეიქმნება.

„რგოლის“ დამზადებისას, განსაკუთრებით ხაზგასასმელია რამდენიმე ფაქტორი:

ა) კრწანისის ტყე-პარკი წარმოადგენს ტყის ერთადერთ ფრაგმენტს, რომელიც მდებარეობს თბილისსა და რუსთავს შორის.

ბ) კრწანისის ტყე-პარკი წარმოადგენს გადამფრენ ფრინველთა ერთ-ერთ ძირითად სამიგრაციო მარშუტს;

გ) ორი ასეული წლის წინ, კრწანისის ტყე-პარკი იყო ბევრად დიდი მოცულობის, იწყებოდა თბილისის ორთაჭალის უბანში და გრძელდებოდა ამჟმინდელ ქალაქ რუსთავამდე;

დ) კრწანისის ტყე-პარკი ფაქტობრივად წარმოადგენს ჭალის ტყეს, რომლის დიდი ნაწილი XX საუკუნის მე-2 ნაწილისთვის განადგურებული იყო. მისი აღდგენა დაიწყო 1960-იან წლებში;

ე) კრწანისის ტყე-პარკის ტერიტრორია განსაკუთრებით მდიდარია ბიომრავალფეროვნებით. დამკვირვევლებისა და ორნიტოლოგების მიერ აღნუსხულია 211 სახეობის მხოლოდ ფრინველი. მათ შორის, 120-ზე მეტი გადამფრენი სახეობის;

ვ) ბოლო 30 წლის განმავლობაში, კვლავ მოხდა კრწანისის ტყე-პარკის ფართობის შემცირება, როგორც ურბანული განვითარების, ისე უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად;

ვ) 2020 წელს საქართელოს მთავრობამ გადაწყვიტა აღადგინოს კრწანისის ტყე-პარკი, რათა აქ მოეწყოს გარემოს დაცვითი დანიშნულების საჯარო სივრცე;

ზ) კრწანისის ჭალის ტყე ბევრის მნახველია. ის შეესწრო მრავალ ომს, მათ შორის, 1795 წლის ცნობილ კრწანისის ომს და მისი ფართობის ასე დიდად შემცირებაში სწორედ ამ ომის კვალია.

რგოლის სპეციფიკაცია

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს საიმიჯო-საპრეზენტაციო რგოლის (შემდგომ - „რგოლი“) დამზადება შესაბამისი სცენარების დამტკიცების შემდეგ.

პირველ ეტაპზე, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სცენარის კონცეფცია, ხოლო სცენარის წარმოდგენა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ თანხმობიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში.

რგოლს უნდა ჰქონდეს მუსიკალური გახმოვანება და მუსიკას უნდა ჰქონდეს მისი გამოყენებისთვის სრული საავტორო უფლებები.

რგოლს დაედება ტექსტი ე.წ „voice over“, რომლის შინაარსის დაწერას და გახმოვანებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი. რგოლი იქნება ქართულენოვანი. გახმოვანების ხმა წინასწარ შეთანხმდება შემსყიდველთან.

მიმწოდებელი ვალდებულია რგოლის დამზადების მთელი პროცესის დაგეგმვა და წარმართვა განახორციელოს დამკვეთთან შეთანხმებით, მათ შორის სცენარის დამუშავება, ვიდეო რგოლის დამზადების პროცესში მიმწოდებელმა შემსყიდველთან უნდა შეათანხმოს, გრაფიკის არჩევა, მონტაჟი, ფერთა კორექცია, მუსიკა და ხმოვანი ეფექტები (კადრს გარეთ ხმა).

სცენარი უნდა იქნას წარმოდგენილი როგორც ტექსტობრივი, ისე პრეზენტაციის სახით, სადაც გაწერილი იქნება ეპიზოდები, გადასაღები ადგილები, დრო, მსახიობები, გრაფიკული საკითხები, სტატისტიკა და სხვა. შემსყიდველი ასევე იტოვებს უფლებას დაესწროს ვიდეო რგოლის დამზადების პროცესს და მისცეს გარკვეული მითითებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პოტენციურ მიმწოდებლებს შეუძლიათ გაეცნონ გადასაღებ ადგილმდებარეობას მისამართზე: თბილისი-რუსთავის გზატკეცილის ქვემო ფონიჭალის დასახლების მიმდებარედ, ყოფილი კრწანისის ტყე-პარკის ტერიტორია.

რგოლის დამზადებისთვის საჭირო ტექნიკური პარამეტრები

რგოლის ქრონომეტრაჟი უნდა იყოს 90-180 წამი.

ვიდეორგოლი წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ტიპის ფორმატში: AVI ინტერნეტ ფორმატი და TARGA (ან მსგავსი/არანაკლები) სატელევიზიო ფორმატი.

ვიდეორგოლის გადაღება უნდა განხორციელდეს მაღალი ხარისხის აპარატურით, არანაკლებ ქვემოთ მოცემული პარამეტრებით:

- ✓ ვიდეო ფორმატი 16:9;
- ✓ 3840:2160 (4K) RAW გაფართოებით;
- ✓ FPS ~ 25;
- ✓ audio: სიხშირე 48000 Hz;
- ✓ Stereo Bitrate: 256 kbps;
- ✓ გადაღებული ვიდეოს ხარისხი - Full HD 1080 p.

„სააგენტოს“ მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა შექმნას და გამოიყენოს ანიმაცია.

გადაღებებისთვის გამოყენებული უნდა იქნეს დრონი, სლაიდერი, იზირიკი, ასევე უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ხარისხის მონტაჟით, ფერის კორექციით და საუნდ დიზაინით. რგოლს უნდა ჰქონდეს გრაფიკული გაფორმება;

რგოლი გადაღებული უნდა იქნას საერთაშორისო სატელევიზიო არხების ტექნიკურ მოთხოვნებთან თავსებადი პარამეტრებით;

რგოლი გათვლილი უწდა იყოს შემდეგ სამიზნე აუდიტორიაზე: საქართველოს მოსახლეობა, საერთაშორისო ბაზრები, ფორუმები, კონფერენციები, გამოფენები. ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები.

კატეგორია: ოფიციალური შეხვედრები, სატელევიზიო, ინტერნეტ და სოციალური მედიის მომხმარებლები.

დამზადებული/დასრულებული რგოლი შემსყიდველს უნდა მიეწოდოს დისკით ან მეხსიერების ბარათით.

რგოლი უნდა იყოს სარეკლამო კამპანიის წარმოებისთვის მომგებიანი. გამოირჩეოდეს მიმზიდველობით და კრეატიულობით.

LEPL„WILLDLIFE NATIONAL AGENCY"

Digitally signed by LEPL„WILLDLIFE NATIONAL AGENCY"
Date: 2023.06.05 19:45:26 +04'00'

Maia Gurabanidze 01020006091

Digitally signed by Maia Gurabanidze
Date: 2023.06.05 17:08:56